№ 7

1926 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წიგნაკი

სახელმწიფო გამომცემლობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

1. მიბაძვა მდელოზე,—ლექსი დ. თურდოსპირელისა . 2

2. დაკარგული შვილი, (დასასრული)—გ. რობიტაშვილისა . 3

2. სიმღერა,—ლექსი მიმქრალისა 7

4. ჯეჯილის აჯანყება,—(პიესა სამ მოქ.) ნ. ფაცხიოველისა
და მუსიკა ნ. შარაბიძისა 8

5. სოფლის ბიოლერის წერილები,—(წერილი მეორე) დ. ჯაფ-
ბელაშვილისა. 22

6. ტროპიკული ქვეყანა,—თარგმანი მ. მ—ანისა . . . 23

7. დედაბერი და ეკაკი—ლექსი. დ. ელიოზიშვილისა . . 30

წ. მე-XXII № 7 ივლისი 1926 წ.

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის და საქ. ა. ლ. კომკავშ. ცენტრ. კომიტ. ჟურნალი ბავშვებისათვის.

F 1980

საჯარო ბიბლიოთეკა ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიპატიჟება მდელოზე

აქვარდოვან ცის მდელოდან
მზემ სხივები გადმოსტეორცნა,
არემარე გააბრწყინა,
ნეტარებით გადაჭოცნა.
აჭიკჭიკდენ ფრინველები,
აბიბინდა მინდორ-ველი,
ზაფხულიც მოგვიცქრიალდა
სანეტარო, სასურველი.
გარიჟრაჟი ბაწა ბავშებს
მოეფინა ციმციმითა,
ჩაჭოცნა და ჩასჩურჩულა
საიდუმლო ტკბილი ხმითა:
— ბუტკუნჩელა მალხაზებო,
გაიღვიძეთ, მეფობს დილა,
ველზე თქვენთვის გადაშლილა
ვარდ-ზამბახი და ბილილა.
ზურმუხტოვან ბალნარშია
მორაკრაკებს ნაკადული,
ფრთოსნებსა და ეკავილებსა
ნადიმი აქვთ გამართული.
ჩქარა, ჩქარა, ბაწაწებო,
გაიღვიძეთ, კმარა ძილი,
რა ხანია, თქვენ მოგელით
მდელო, ტურფად გადაშლილი.

დ. თურდოსპირელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

V

ერთ-ერთი თავშესაფარის ჰიონერთა კოლექტივი კოჯრის მიდამოების დასათვალიერებლად ეოფილიო.

დაბრუნებისას შეგვიანებოდათ... მსიარული სიმღერით მოდიოდენ გზაზე.

— დაიცათ, მგონი გზის ჰირას ვიღაც არის,—დაიძახა ერთმა მათგანმა და ყველანი გაეშურენ თხრილისკენ.

—მოუკლავთ..საწყალი ბიჭი!—წამოიძახა რამდენიმემ.

—მოიცათ!—სთქვა უფროსმა,—შეიძლება ცოცხალი იყოს..

გადაუღელა საკინძი და ეური გულზე დაადო...

ბავშები სულგანაბული ელოდენ შედეგს...

— ცოცხალია... გული უცემს...

საჩქაროდ ამოიღო საშგსავრო ჩანთიდან ნიშადურის სპირტი და ასუნებინა ბავშს... უკანასკნელმა თვალები გაახილა, უაზროდ მიმოატრიალა ირგვლივ...

ბავშებმა სიხარულის ჟრიამული ასტეხეს...

— ცოცხალია, ცოცხალი...

— აქ საიდან გაჩნდა?

— მერე უავარჯენით!.. სად მიდის?..

— ამხანაგებო! რას იტყვით, როგორ მოვიქცეთ?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ რომ დავტოვოთ უბატრონოდ, მოკვდება!..

ახრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გადაწყვიტეს, ბავშვი თან წაეყვანათ...

VI

ბიონერებს ეფიქრებოდათ: ვაი თუ გაგვიწყრენ საბავშო თავშესაფარში ამ საქციელისათვისო, მაგრამ, ბირიქით, ქებაც მიიღეს: „ოხად, ოხად, რომ თქვენი მოვალეობა კარგად გხსოვნებიათ!“

სანდროს თვალის ჩინივით უფრთხილდებოდენ ახალი ამხანაგები; თავს ეკლებოდენ, ართობდენ... მხრუნველობა მალე დაეტეო ავადმყოფს... გამოცოცხლდა...

ფეხზეც შვება იგრძნო... ერთი გარემოება აწუხებდა სანდროს, რის გულისათვისაც ხშირად ცრემლიანს ნახავდით...

— რათა სტირი, სანდრო?

— მამა სად არის, მამა, რამდენი ხანია არ მინახავს!

სანდრო წამოდგა ლოგინიდან.

მალე ეავარჯნები გადაეარა და ჯოხდაბჯენილმა დაიწყო სიარული...

შეეთვისა საბავშო სახლს... დაუმეგობრდა ამხანაგებს. ადმზრდელებმაც შეიყვარეს ცოცხალი, ჭკვიანი სანდრო.

VII

სანდროს მამა ჩამოვიდა სოფლიდან შვილის სანახავად. თან სახუქრები ჩამოუტანა.

რამდენი ხანი იყო, რაც არ ენახა!

— ოსტატს ვახლავართ!.. როგორ გიკითხოთ!..—მიესალმა ოსტატს.

— გაგიმარჯოს!—უგულოდ უპასუხა სარაზმა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემი ბიჭი როგორ არის, ოსტატო, ხომ არ გა-ჯავრებს!

— ბიჭი!.. შენ რომ კარგი ბიჭი გეოლია!..

— რა იყო, რა მოხდა!—ჰკითხა გაკვირვებით ნიკამ.

— რადა რა იყო! რამდენი ხანია, რაც ტყავები მოშუარა და გაიქცა... მე მეგონა, შენთან წამოვიდა,—მიახალა ოს-ტატმა...

ნიკას რომ სახლი დასწოლოდა, ის ერჩივნა ამის გაგებას...

,,ვაი ჩემ თავს, ეს რა დაშმართვია!..

შვილი დამიკარგეს... თან ქურდობა!.. არა, შეუძლებელია.. შვილი, ჩემი ბატარა ბიჭუნა... რა უშვეს, რა!!''.

ნიკამ ის-და გაიგო, რომ ოთხი თვის წინ დაჰკარგოდა შვილი... ოსტატს მეტი არაფერი არ უთქვამს მისთვის...

ბარბაცით გამოვიდა დუქნიდან... უაზროდ, ანგარიშმიუ-ცემლად გასწია.

,,სად იქნება, ვისთან!.. ვინ იცის, ცოცხალი კია!.. ვაიმე, შვილო, ვაი შენს მამას, რაზე დაგლუპე, რაზე''...

ნიკას ადარც შიმშილი ახსოვდა, ადარც წყურვილი...

,,მთელ ქალაქს გადავაბრუნებ და შვილს კი ვიპოვი'', გადაწყვიტა ნიკამ და ერთი ქუჩიდან მეორეზე გიჟივით და-რბოდა...

,,შვილო!.. იქნებ ადარც-კი ხარ ცოცხალი!..'' უცბად მო-აგონდა ოსტატის სიტყვები. ტყავები მოუპარავს... ,,არა, არა, ტყუილია, ჩემი ბიჭი მაგას არ იზამდა, არა''...

მტკვრის ხმაურობამ გამოარკვია....

ხიდზე იდგა...

დახედა წყალს... უცბად გული გადმოუბრუნდა: ,,ვაიმე, შვი-ლო!.. იქნება ეს არი შენი სამარე?!''

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოაჯირს გადაეჭუდა... დააკვირდა მტკვარს...

წყალმა თვალი მოსჭრა...

— აგერ, ტალღებში, სანდროს სახე.... საუვედურით ავსილი თვალები... ესმის მისი ხმა... „მამი, მამი, მიშველე!“

ვიღაც დაეჯახა...

— რას გაჩერებულხარ, ადარაკის გაატარებ, შე კაცო? ჩაუბუსღუნა გამვლელმა...

ნიკა გამოერკვა... ლასლასით განაგრძო გზა...

დაიღალა... სამი დღის ძებნამ უნაყოფოდ ჩაუარა... ძლივსღა დაქანს ფეხები... იმედი დაეკარგა... მოტეხა სამი დღის უბედურებამ. ჩამქრალი თვალებით იცქირება აქეთ-იქით...

ამ დროს დაინახა ერთი ბავში, სუფთად ჩაცმული, წითელი ირმით ულელზე...

დააშტერდა...

შესდგა... შეხედა ბავშს... თვალები გაუბრწყინდა, გული აუფთრიალდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

,,ეს თვალები, სახე... ეს ხომ ჩემი შვილია... მაგრამ არა... იმას ვინ ჩაცმევდა ასე?''

ნიკას წუთით მოზღვავებული სიხარული უკუქცა... გადადგა ფეხი წასასვლელად...

— მამი, მამი!.. დაიწივლა ბავშვმა და მამას ყელზე ჩამოეკიდა.

— სანდრო!! შენ?.. ჩემი შვილი... ჩემი ბიჭუნა!! ჩემი ბიჭუნა!.. და მამამ ათრთოლებულ მკერდზე მიიკრა დაკარგული შვილი.

გ. რობიტაშვილი

სიმღერა

მოვიდა წვიმა შხაპუნა,
ყანებო, გაიხარეო,
ოქვენს საალერსოდ ჰირს იბანს
დღისით მზე, ღამით მთვარეო!

როცა გადირეკს ამინდი,
თავთავი გადმოხარეო,
აჟუჟუნდი და აბრწყინდი,
აამღვაურე არეო.

დამარცვლე ქარვის მარცვლები,
დამწიფდი, დაიჩქარეო.
ეანაო, დაგენაცვლები,
ოჯახი გამიხარეო.

მიმქრალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯეჯილის აჯანყება.

(პიესა სამ მოქმედებად)

მოქმედნი პირნი:

1. 1 ჯეჯილი.
2. 2-რე ჯეჯილი.
3. ჭანგას ფესურა.
4. ალავერდა.
5. თეთრი ნარი.
6. ხვართქლა.
7. ჭოტა.
8. ღიღილო.
9. ღიღილოს თესლი.
10. გარეული შვრიის თესლი.
11. ღვარძლა.
12. ძაღლნიორა.
13. თერო.

(3–13: სარეველი მცენარეები.)

14. ვახტანგ.
15. ილიკო.

(14–15: მოწაფე-პიონერები)

16. ზაქარია ოროველაშვილი — ყანის პატრონი.
17. აგრონომი.
18. ბავშები.
19. ხალხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 მოქმედება.

სცენა წარმოადგენს ამწვანებულ ჯეჯილს, მაგრამ ყანას სარეველი მცენარე ისე მოსდებია, რომ ჯეჯილი აღ არც კი მოსჩანს. თეთრი ნარი ჩრდილავს თავისი ყლორტებით და ფოთლებით, ხვართქლა ღეროს ეხვევა და სულს უხუთავს, ჭანგა კი ფესვებში გახლართვია და არ აცლის საზრდო ამოიღოს. ყველა ცდილობს, რაც შეიძლება უფრო დაჩაგროს და გაავერანოს ჯეჯილი. პირველ მოქმედებაში, ფარდის ახდისას, სარეველები ვარჯიშით გამოხატავენ თავის სიძლიერეს და ჯეჯილის დაჩაგვრას.

ჭანგას ფესურა.

ჭანგა მეტად მანებელი სარეველია. მიწა მთლად მოდეუბლია მისი ფესვებით.

ალავერდა.

ფესვი მისი მეტად ძლიერია, ხშირად მაჯის სიმსხო იზრდება და მიწაში მეტად ღრმად მიდის. ხშირი სტუმარია ნაყამირევი მიწის.

1 ჯეჯილი (ოხვრა-კვნესით)

რას ჩამაცივდით, გზა მომეცით...
თავთავი უნდა გავიკეთო, თქვენ
კი ხელს მიშლით!

2 ჯეჯილი. ჰო, ჰო, გზა
მოგვეცით, გზა!

(სარეველი მცენარეები გაკვირ-
ვებული უცქერიან და მერე უცბად
სიცილი წასკდებათ, გულიანად
კისკისებენ და დაცინვით ხელს
ჯეჯილისკენ იშვერენ, მერე
ერთად დაიმღერიან).

ერთი შეხეთ, საცოდავებს,
თავისას რომ არ იშლიან!
თავთავსაც კი იკეთებენ,
მზის სხივებზე ამოდიან...
მაშ ჩვენ რაღათ გავჩენილვართ,
ან ამ მიწას რათ ვეწვიეთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა



თუ შინაურ მცენარისგან
ასე მალე დავიძლიეთ?
ხმა ჩაკმიდეთ, საძაგლებო,
დღეს ჩვენია ეს ქვეყანა,
სანამ ჩვენ ვართ ამ მინდორში,
ვერ იხარებს თქვენი ყანა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

(სიმდერის დროს სარეველები უტევენ, უბდვერენ და ხახ ყიბლსაც წაჭკრავენ ხოლმე ჯეჯილს, თაველები კი სატოდავად ერთმანეთს ეკვრიან და შესხივიან).

1 **ჯეჯილი.** ამათ ხელში, ძმაო ჩემო,
ჩვენი მტერიც ჩავარდნილა!

2 **ჯეჯილი.** ჩვენს მიწაში, ჩვენს სახნავში,
არ გვიშვებენ, გაგონილა?!

თეთრი ნარი.

ყველაზე აბეზარი სარეველი მცენარეა. მიწისქვეშა ნაწილებიდან ხშირად 60 და მეტი ღერო ამოაქვს. ძლიერი ღეროთიც ჩრდილავს კულტურულ მცენარეს.

ხვართქლა.

მიწის ქვეშ ჭანგა ახუხებს ჯეჯილს, მიწის ზევით—ხვართქლა. მისი მხვიარა ყლორტი ეხვევა მცენარის ღეროს და სულს უხუთავს.

(მწუხარებით თავს აქნევენ და თვალზე ცრემლი ადგებათ).

ჭანგა. ხმა ჩაკმიდეთ, თქვე უქნარებო, თქვენა!.. არ იცით, რომ ჩვენ ღონივრები ვართ?

1 **ჯეჯილი.** (ოტა გულმაგრად). ნუ ყოყოჩობ, ჩვენი დროც მოვა...

ჭანგა. რაო? ჩვენი დროც მოვაო? მეცინება, მეცინება... შენ იცი, ყვავის ბუდეზე ცხრა წელიწადი ვიდე, მაღალი მუხის წვერზე. ზაფხულში მზე მაწუხებდა, ზამთარში ყინვა და ქარი... მეათე წელს ძირს ჩამოვვარდი, მიწაზე დავეცი და კიდევ ფესვი მოვიკიდე... (ყოყოჩობით), ხედავ, რა გამძლე ვარ! თქვენ, სუსტი და ნაზი არსებანი, დამაკლებთ რამეს? (მივა და ჯეჯილებს უჭერს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალავერდა. შენ შენი სთქვი, მაგრამ მეც მიგდე ყური: არც მე ვარ ნაკლები. გუთნისდედა ზაქარამ ცხრა ულელი ხარ-კამეჩი შეაბა ახლად გამართულ გუთანში ხვნის დროს მე წინ გადავეღობე, გუთანმა ვერა დამაკლო რა, სახნის-საკვეთი ჩემმა ფესვმა გატეხა, მაშ!.

(გარედან ისმის სიმღერა):

მოვდივარ, მომიხარიან,
ბიჭი ვერ მეტად ძლიერი,
გლეხკაცი კარგად არ მიცქერს,
ვაკელი არცა მთიელი.

(სცენაზე შემოფრინდება გარეული შვრიის თესლი; ჯეჯილები შეკრთებიან, ერთმანეთს ეკვრიან).

1 **ჯეჯილი** (მწუხარებით). ეს-ღა გვაკლდა სწორედ!

2 **ჯეჯილი**. ვინ არის, ეგეც ჩვენი მტერია?

1 **ჯეჯილი.** საშინელი, საშინელი. ხედავ, ეგ რა ადრე იკეთებს თესლს? ამ თესლს თვითვე სთესავს, მერე რა გამძლეა! თხუთმეტი წელი მიწაში რომ იყოს, მაინც ამოვა, თუ კაი პირობა დაუდგა. გამიგონია ერთი ამბავი: „ზემოსვანელი ქვემოურმა გააჯავრა. ზემოსვანელმა სთქვა: ისეთი მტრობა უნდა გიყო, რომ შენმა შვილიშვილმაც არ დაივიწყოსო. ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოიტანა გარეული შვრიის თესლი და ჩათესა მტრის ყანაში. ის არის და ის, სვანის ყანის ყველაზე დიდი მტერი ეგაა! არც ბარშია ცოტა, პირდაპირ გვაჩანაგებს.

გარ. შვრ. (აქამდის სხვებს ესაუბრებოდა). აბა, ჩემი ალაგიც მიჩვენეთ... (მივა ჯეჯილთან) დაიკარგეთ აქედან, ეს ადგილი მე მინდა (ჭკრავს ხელს), აღარ დაგინახოთ, სულ ერთია, ჩაგკლავთ. ხომ იცით, რა ლონიერი ვარ, მე რომ ამოვალ, ერთი ძირიდან თხუთმეტ ღეროს გავიკეთებ და თქვენ კასაგისს დავჩრდილავ, საზრდოს აღარ მივცემ...

ჯეჯილი (ერთად). სად უნდა წავიდეთ? (არ უშვებენ შვრიას). ეს ადგილი ჩვენთვისაა დამუშავებული. არ წავალთ, არა, პატრონს მოსავალი უნდა მივცეთ.

გარ. შვრ. (იცინის). ჰა, ჰა, ჰა! რა სასაცილონი ხართ! დაიკარგეთ, (ხელს ჭკრავს და ფეხით მიწაში მიძვრება, ადგილზე ტრიალდება) ვერა ხედავთ, რა მოხერხებული ვარ? მიწაში თვითონ ვიფლობი, თქვენ კი, თუ მიწა არ დაგაყარეს, ვერ ამოხვალთ. გზა! (შეუტევს).

(ამ დროს სცენაზე შემოფრინდება დიდიდოს თესლი; საფრენი ბეწვები ქარის ფრთებზე ოდნავ ქანაობენ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარეფელები. (ერთად, მხიარულად, ყივილ-ხივილით). ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! აბა, ერთი მრავალჟამიერი შემოსწრებულ მეგობარს (შემოსძახებენ სიმღერას).



ლილილოს თესლიც გვეწვია,
ხელს უწყობს წყნარი ნიავი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორ გზასაც ადვილ გაივლის,
თესლია ქარზე მფრინავი.

—

გიცოცხლოს, ძმაო, გამჩენი,
გაგიძლიეროს გვარია,
და-ძმანი შენი გიმრავლოს:
გვირილა, თეთრი ნარია.

—

ვერა დაგვაკლოს ჯეჯილმა
ვერ მოგვითხაროს ძირია.
გვიამბე შენი ამბავი,
გახსენ ლამაზი პირია.

ღიღილოს თესლი.
თავზე საფრენი ბეწვები აქვს, აიტაცებს ქარი
და ერთი ადგილიდან მეორეზე გადააქვს.

ღ ი ღ ი ლ ო.
ლურჯყვავილება, ლამაზი
და მავნებელი.

ღილილოს თეს. გმადლობთ, მეგობრებო, გმადლობთ... მოკლედ გეტყვით: დედაჩემმა უკვე დაიყვავილა, თესლების ნაწილი უკვე გაფანტა, მე კი გზის პირას ვეგდე, ლამის ვკვდებოდი, სულ იმას ვნატრობდი, ნიავს დაებერა. ამისრულდა ნატვრა, ნიავმა დილით დაიწყო სისინი, ამიტაცა და თქვენთან გადმომაფრინა. .

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭანგა. კაი მოწყობილი თესლები ხართ, შენ საფრენი გიწყობს ხელს, ბირკას ეკლები, მიეკვრება რამეს—კაცს, ცხოველს—და ერთი ადგილიდან მეორეზე გადადის.

ღილ. თეს. მაშ რა ვქნათ, როგორ მოვმრავლდეთ? იქვე, დედასთან, რომ დავცვივდეთ, ყველას ადგილი არ გვეყოფა, ერთმანეთს ხელს შევუშლით... ქარი კი მთელ ქვეყანაზე გაგვფანტავს, გაგვანაწილებს.

ჭანგა. არც მე ვარ უმადური. ჩემი თესლი თუ არ დაფრინავს, მე ფესურითაც ვმრავლდები. იქიდან ახალ-ახალი ყლორტი ამომაქვს. ეს ქართული ფარცხიც ხომ მისწრებაა ჩემთვის. გუთანი რომ მჭირს ნაწილებად, კაბდო ერთი ადგილიდან მეორეზე გადამიტანს, ჩამაგდებს იქ, სადაც წინეთ არ ვიყავი. ამომაქვს ყლორტი, ვმრავლდები.

თეთრი ნარი. მე კი შენ გჯობივარ, მიწის ქვეშა ნაწილებითაც ვმრავლდები, ქართული ფარცხი მეც მიწყობს ხელს, თესლიც ღილილოს მიმიგავს.

გარეული შვრიის თესლი.
ყველაზე ძლიერია. გავრცელებულია მთა და ბარში. მისი თესლი ხშირად 10 წელი გდია მიწაში და ხელსაყრელ დროს რომ იხელთებს, მაშინ ამოვა.

ჭ ი ო ტ ა.
მას ლამაზი და ჭყეტელა ყვავილი ამშვენებს, მაგრამ მის თესლში მეტად მავნებელი შხამია.

ღილილო. სხვების მარცვალი პურს მისდევს... მიწის-მუშა კი პურთან ერთად ისევ სთესს და თვითონ ამრავლებს, ვითომ ამათთვის კი ამუშავებს, აი, მომიკვდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

(მივა და პურის მარცვლებს თავში ჩაარტყამს) წადით, დაიკარგეთ აქედან...

ძაღლნიორა. (დარბაისლურად). დაანებე თავი, რას სწუხდები... ამოვწოვოთ მიწიდან საზრდო, საზამთროდაც მოვიგროვოთ ფესვებში, ფესურებში, რომ გაზაფხულზე, აქ პური თუ კიდევ დათესეს, საბოლოოდ მოვსპოთ. მალე ამოვიტანოთ ყლორტები, ფოთლები, ადრე გავშალოთ ტოტები და დავჩრდილოთ ყანა; თუ სადმე ამოვიდა, მზე აღარ მივაწვდინოთ, საზრდოც ჩვენ გვექნება და სამუდამოდ მოისპობა მათი სახსენებელი.

თერო (მხიარულად იცინის). მართალს ამბობ, მართალს. ზედმეტ ლაპარაკს საქმე სჯობს. ჩვენ ხომ მრავალწლეულები ვართ, ძაღლნიორა, ნარი, ჭანგა... ჩვენ ფესვებში და იმ საკუჭნაოებში, რომელიც ფესვებზე გვაქვს, საზრდო ბლომად მოვიგროვოთ. მომავალი ზაფხულისათვის ცარიელი არ დავრჩეთ... ხომ იცით, თუ საზრდო ბოლომდე არ გაგვყვა, ბრძოლაში დავმარცხდებით. ავად თუ კარგად, პურს პატრონი ეყოლის, ჩვენ კი თავათ უნდა ვუპატრონოთ თავს...

ძაღლნიორა.
ბოლქვიანი, მეტად დიდი მტერია ყანისა, განსაკუთრებით ურწყავ მიწებში.

ხვართქლა. ეგრე სჯობს. ახლავ დავიმზადოთ. მე გაზაფხულზე ჩემ გრძელ მხვიარა ყლორტს შემოვხვევ ყანის ღეროს და სულს შევუხუთავ... მაშ... მაშ.. (ნიშანს უგებს მარცვლებს და მარცვლები კუთხეში იუყრებიან).

ყველა... ყოჩაღ, ყოჩაღ, თბდარიგიანი ხალხი ხართ! აბა, მოვაგროვოთ საზრდო.

თეთრი ნარი. მე კი გავშლი ჩემს ძლიერ ტოტებს და ყანას ნიავსაც არ მივაკარებ, მზეს არ დავანახვებ. მიწაში კი გავაძლიერებ ფესვს და ორიოდე ყლორტს ამოვიტან.

(მიწიდან იდებენ საზრდოს, თავისი ფესვები დრმად მიაქვთ მიწაში, მაგრად ებღაუჭებიან, დიდ შრომას ხარჯავენ, რომ რაც შეიძლება მეტი საზრდო მოიგროვონ. ფესვებში, ბოლქვში და ფესურებში იგროვებენ, ნელ-ნელ იბერებიან ამ მუშაობის დროს. ამ მუშაობას რიტმიული ვარჯიშით გამოხატავენ და თან მხიარულად მღერიან:

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჰერი, ბიჭო, ჰერი,
ვთამაშობ და ვმღერი...
ამდენ საზრდო-საკვებითა
გავისქელე ღერი.

F 1980

საქართველოს სსრ. სახ. საბჭოთა
საჯარო
ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაური მცენარისა
ვართ ჩვენ დიდი მტერი,
ჰერი, ბიჭო, გენაცვალე
საზრდო ვწუწნოთ, ჰერი.

—

არ ვაცოცხლებთ ამ მხარეში
ჭვავსა, პურსა, ქერსა.
გაზაფხულზე ჩვენ ჩრდილებში
ვაცვლევინებთ ფერსა.

თ ე რ ო.

მრავალწლეული ყვავილი მოწითალო აქვს. ფესვი ღრმად მიაქვს მიწაში.

არც მზეს მივცემთ, არც სინათლეს,
არც ნამისა ჯერსა,
ჰერი, ბიჭო, გენაცვალეთ,
დაურბინეთ წრესა!

სარეველები გართულან მუშაობაში და სიმღერაში, ჯეჯილები კი შეუჭეულან და ჩურჩულებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 **ჯეჯილი.** იცი, ჩვენ დავიღუპებით, დავიღუპებით ნამდვილად!!

2 **ჯეჯილი.** დავიღუპებით, მაშ რაა! ამათ, მართალია, ერთმანეთი არ უყვართ, მაგრამ ჩვენ ერთად გვებრძვიან... გვჩაგვრავენ, როგორღა ამოვიდეთ!

1 **ჯეჯილი.** ე, პატრონი კი ჩვენ გვამტყუნებს, ცოტა მოსავალი მოვიდაო... იცი, მოდი, ვუჩივლოთ ზაქარას, თხოვნა დავწეროთ...

2 **ჯეჯილი.** მაგრამ ვისთან ვუჩივლოთ, ვინაა ჩვენი პატრონი. ვიღუპებით ასე უნუგეშოდ. (ჩაჭკიდებენ თავს და ტირიდი მოსდით. გარედან ისმის ხმები:)

1 **ხმა.** იცი, ვახტანგ, ჩვენი დავალება რაც შეიძლება კარგად უნდა შეავასრულოთ, ყანები უნდა დავათვალიერეთ, სარეველები გამოვიკვლიოთ.

2 **ხმა.** მაშ, უეჭველად, ღარიბ გლეხკაცობასაც დავეხმაროთ, ყანის მარგვლაში ვუშველოთ...

1 **ხმა.** ეგეც ხომ გვითხრა მასწავლებელმა!

(სცენაზე შემოდიან პიონერები, გაკვირვებულები უცქერიან სარეველების ჯარს და მათ მუშაობას. ჯეჯილს გაუსარდება და ორივე მათკენ გაიწევს).

ილიკო. ერთი უყურე, ვახტანგ. რა ყანა უნდა მოვიდეს ასეთ ხნულში, ჰა?

ვახტანგი. რა ჰქნას ჯეჯილმა, როგორ ამოვიდეს? როგორ დაითავთაოს?

(სარეველი მცენარენი ვერა ხედავენ, მუშაობაში არიან გართულნი, ხანდახან ისმის „ჭერი, ჭერი“).

1 **ჯეჯილი.** ვერ ამოვდივართ, გვიშველეთ!

2 **ჯეჯილი.** ვერც ამოვალთ, გვიშველეთ, გვიშველეთ!!

მოწაფენი. (უალერსებენ მარცვლებს, თავზე ხელს უსვამენ... ერთად): გიშველით, გიშველით, იმიტომ წამოვედით სოფლად, რომ თქვენც გიშველოთ!

ილიკო. ვახტანგ, წავიდეთ აგრონომთან, ამათი საჩივარიც ვუთხრათ...

ჯეჯილი. წავიდეთ, ჩვენ თვითონ ვიჩივლებთ, თქვენ გზა გვაჩვენეთ მხოლოდ...

ჭანგა. (გამოერკვევა) ეს რა ხმაურობაა, ეს ვილანი არიან...

სარეველები. რას ხმაურობთ, ნუ გვიშლით.

1 **ჯეჯილი.** (გულადად) თქვენი აღსასრული დადგა, აი ჩვენი მხსნელები! (მიუთითებს პიონერებზე) წავალთ ახლა და მალე მოგისპობთ სიცოცხლეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარეველები. (ერთად) ეგ ლაწირაკები ვერას დაგვაკლებენ, ვერა... საცოდავებო! (დასცინიან).

ჯეჯილი. (მოწაფეს) წავიდეთ, წავიდეთ, ძმებო... (მოწაფენი სიცილით მოხვევენ ხელს).

პიონერები. ეგრე, ყოჩაღად, ჩვენვე დავარწმუნებთ, რომ მოგაშორონ თავიდან... (გადიან).

სარეველები. (იცინიან) მოგაშორონო! რა საცოდავები არიან! მაგ ლაწირაკებმა უნდა დაგვაკლონ რამე? გაიქცნენ და ველარც დაბრუნდებიან, აბა, ერთი სიმღერა.

ღვარძლა.

მეტისმეტად შხამიანია, თუ პურს შეჭყვა, ადამიანს ფრიად ვნებს.

(ჩაბამენ ფეხზე და ცეკვავენ).

ცანგალა და გოგნი გოგო,
დაუარე ბიჭო ღვარძლა,
შენმა შხამმა მიწის-მუშას
მკლავს მოუკლო დიდი ძალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბა, ახლა ძალლნიორა,
შენ, ღიღილო და ჭიოტა,
თქვენ წყალობით მიწის-მუშას
თვალზე ცრემლი მოსდიოდა.

ცანგალა და გოგნი გოგო,
ყველამ ერთად დავკრათ ტაში,
ჩვენი ძალით გლეხიკაცი
ველარ წავა ადრე მკაში!

არ მოუვა მოსავალი,
არცა პური, არცა ქერი...
სიხარულით დავითვერით,
ჰერი, ბიჭო, ჰერი, ჰერი!

ნ. კეცხოველი.

(ფ ა რ დ ა)

(დასასრული იქნება).

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სოფლის პიონერის წერილები.

წერილი მეოთხე.

ქალაქში, დიტოს!

ამხანაგო დიტო!

გული გადამელია შენი წერილის ლოდინით; დავაბირე კიდეც ქალაქში ჩამოსვლა—ჩვენებიანთ ნიკოსთან ერთად; იმას, დიტო, ნახშირი მოეტანდა ქალაქში, მაგრამ ამ თხებს ვერ ვერა გავუწყე რა და კიდე დავიცადე.

წუხელ საღამოს, ისეთი თხები უნდა ბაკში შემერეკა, რომ ამ დროს ჩვენი კატო დავინახე, მორბოდა შინისკენ და თან რაღაცა წიგნს აფრიალებდა.

მივეფეთე წინ, რაღაცა გულმა გადამკრა, ეს დიტოს წერილი იქნება მეთქი და მართალიც გამოდგა. მხოლოდ ბირველად გამიკვირდა: გამიგონია, წერილი ბარათია და წიგნითაი მაძლევს ბასუხს მეთქი, მაგრამ მასწავლებელს აეხსნა კატოსთვის, ასე უნდა, ასე სჯობიაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეე, რამდენი ვეოცნე მაგ „ნაკადულსა“, რამდენი ვფურცლე და ვატრიალე!

შენ კი გენაცვალე, დიტო, რომ არ დამივიწყე და მოიწერე.

ახლა, კატოს როგორ შერცხვა შარვალ-ხალათის და კაბის საქმე რო წაიკითხა!

ე, ხო ვაჯობე!

ახლა, დიტო,—მასწავლებელმა გვითხრა, აი, ასე და ასე უნდა შაადგინოთ რაზმიო, და მეც ასე მოვიქეცი.

დიტო, კატო ხომ გოგოა, მაგრამ ისეთი ეოხადია, რომ! ჩემი მარჯვენა ხელი ის არის, მოურბენს ხოლმე ბიჭებს ერთ წამსა და, როცა კი გვინდა, ვგრეოდებით.

ნამდვილად ჩემი მარჯვენა ხელია კატო. ახლა ამას ეცინება, ასე რო ვაქებ ამ წერილში.

დიტო, სკოლაში სიარული ვერ მოიბეზრდა, თხები ცოდნი არიან, მაგრამ იქვე სკოლის ახლო სერზე ისეთი ბალახი ამოვიდა ამ გაზაფხულზე, რომ რაღა გითხრა.

ჰოდა, იმ სერზე გავრეკავ ხოლმე თხებსა და მადიანად რო გამოძღებიან და დაეერებიან, მე სკოლის კარებისაკენ ვეცეში ხოლმე და ეურს ვუგდებ მასწავლებლის სწავლებას. ერთი ფიცარი გამოვთალე, აბგაში მაქვს შუდამ, ცარცი კატომ მიშოვა და ამ ფიცარზე ვწერ, რასაც მასწავლებელი დაფაზე უწერს მოწაფეებს.

ბეზარა მაღლი კი თხებს არ მოშორდება ხოლმე უჩემოდ.

ასე რომ, წერაში გავიმართე, როგორც იეო, და ახლა მე თვითონა გწერ. ჰე, რო იცოდე, დიტო, რა დამეართა! ე, შარვალ-ხალათისთვის და ეელსაკიდისთვის რომ ნაირფერი ფართალი დამჭირდა, არც ვაცივე და არც ვაცხელე და ბებიაჩემის ბალიშს გადავაძრე ლურჯი ბირი, ეელსაკიდისთვის კიდე თაროს ფარდას გადავაჭერი ქვეშოდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგისარიან, დედაჩემმა მე დღე დამაყენა; ერთი კარგა მიმ-ჩოლიკა, მაგრამ რალას იზამდა, კატოს გამოეჭრა კიდეცა.

მერე, როცა მამაჩემმაც გაიგო, არ დამიშალა, რაკი ქა-ლაქშიც ენახა, და მე და კატოს 4 მეტრი გვიყიდა.

დაგვინახეს თუ არა გოგო-ბიჭებმა, ატყდა ერთი ამბავი: ვინ ბალიშს გადააძრო ჰირი, ვინ საბანს გამოსჭრა ჩითი, ვინ ფანჯრის ფარდა გადასჭრა და ყველა ამას კი ცემა-ტყეპა მოჰყვა. მაგრამ მაინც ჩვენი გავიტანეთ და ახლა 8 გოგო მყავს რაზმში და 12 ბიჭი, სულ 21 ვართ.

ჩვენებიანთ ვანომ ერთი ძველი ვედრა იშოვნა, თოხით მსარზე გადაიგდო და აბრახუნებს დოლივით. ქისტაანთ ლექ-სომ კიდე საიდანაც იშოვნა ერთი ეუეუნა.

ბაირადი მასწავლებელმა გვაჩუქა და გაიმართა საქმე!

მართალია, მთელი მეზობლები გვიჩივიან, გამოგვაყრეს ამ გოგო-ბიჭებმა ე ვედრის ბრახუნით და ეუეუნითაო, მაგ-რამ რაზმი სო შედგა, ჰა!

ახლა, დიტო, შენ გენაცვალე, ამ საქმეს ნუ ჩამიშლი და ყველა-ფერი დაწვრილებით გაგვაგებინე, როგორ უნდა მოვიქცეთ. ეს არი რაზმი? მარტო ეგრე უნდა ვიარეთ და სხვა არა გავაკეთოთ რა?

შენ ყველაფერი ბეჯითად მოიწერე და კაცი არ ვიყო, თუ ისეთი რაზმი არ შევკრა, რომ სუყველას გაუხარდეს!

დიტო, კომშებს გინახავ, არა გრცხვენია, რომ მსუნაგო-ბასა მწამებ? რა შემაჭმევს, კაცო, შენთვის შენახულსა!

დიტო, ნახშირის ამბავი რომ მამაჩემს ვუთხარი, გაეცინა, ქალაქში ჩაიტანო რამე და გაუყიდავი დარჩესო? ვერასაც არ ვიუავით გამოცილებული, რო ერთი ტომარაც კი ალარ დაგვრჩა.

აბა, დიტო, რადა მოგწერო, შენ იცი და შენმა სვინიდისმა! წერილიც მოიწერე და შენც ამოდი ამხანაგებით.

ე, როგორ გაეხარდებათ ჩვენს გოგო-ბიჭებს!

გწერს შენი ძმა გიგლა.

დ. კარბელაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტროპიკული ქვეყანა

წარმოვიდგინოთ, რომ სამხრეთში ვართ, ინდოეთის ოკეანის ნაპირზე, ინდოეთის ცხელ ქვეყანაში. მზე ზედ თავზე გვადგას. მზის ცხარე სხივი ასულდგმულებს ნოტიო ნიადაგს და ფერადი ყვავილებით, მაღალი ბალახით და უზარმაზარი ხეებით აშშვენებს დედამიწას. გაუვალი მწვანე ხდუდე ამართულა მდინარეების პირას და თვით ოკეანემდე ჩამოსულა ადამიანის მიერ ხელუხლები ტყე. მანგროვს წელისაკენ დაუშვია თავისი ჰაერზე გაშლილი ფესვები და მწვანე ფოთლებით ბანანის ტყავის მსგავს ფოთლებს გადახლართვია. ინდოეთის უზარმაზარ ლელვს გვერდს უმშვენებს ჰაეროვანი ბზა თავისი ამაყად ამართული ლამაზი კენწეროთი. ლიანები გარს შემოხვევიან ხეების ტანს თვისი მცოცავი ტოტებით და ყლორტებით. მაღალი ხეების რტოებიდან ჩამოშვებულან დიდრონი ჭრელი ყვავილები ორხიდეისა და სუნნელებით ავსებენ ჰაერს; აგერ მწიფე ბანანის მტევანი, ოქროსავით ბრწყინვალე ხეების მწვანე ფოთლებში. განცვიფრებული რჩება ადამიანი აქაური მცენარეების სიმძლავრით, წარმოუდგენელი ლამაზი ფერადებით და ყვავილთა სხვადასხვაობით.

ხეებზე და რტოებზე დამვრებიან მაიმუნები და გემრიელ ხილს შეექცევიან. ისინი განსაცვიფრებელი სიმარდით დარბიან ლიანით დაბურული ხეების ტოტებზე და ჩიტებივითა ხტიან ხიდან ხეზე. მარტო მოხუცებული, გამოცდილებით აღსავსე მათი დარაჯი დგას უძრავად და თვალყურს ადევნებს მიდამოს; ოდნავ საშიშიც რომ შენიშნოს რაშე,—ფრთხილად

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყავითო, ანიშნებს რადაცა უცნაური სმით. მაიმუნს ადამიანი არას ერჩის და ისიც არის თავისთვის დამშვიდებული; თავისუფლად ცხოვრობს და მრავლდება ტროპიკულ ტყეში. ხანდახან, როცა გემრიელი სილი ან ბოსტნეული მოუნდება ჰირის ჩასატკბარუნებლად, შეიპარება ხოლმე ინდოელების მინდვრებსა და ბაღებში, საერთოდ კი ტყეში ცხოვრობს და მთელი დღე დაძრწის და სმაურობს მწვანე ფოთლებით დახრდილულ ბორჯღლიან რტოებში.

დაუდგრომელი და მოუსვენარი, ის სხვასაც არ ასვენებს. აგერ შეაფრთხო ფარშავანგის და სხვა ფრინველთა გუნდი; აფრინდენ, ცაში გაიშალენ და ტროპიკული ცხარე მზის სხივებში ცისარტყლის ფერადებით დამშვენდენ ფრთოსანნი.

დიდრონი ბეჭედლები, ნახევარ-მტკაველიანი ფრთებით, გადადიან ევავილიდან ევავილზე და მზის სხივი რომ მოხვდება მათ ფრთას, ფრთა ისე ბრწყინავს, რომ მვირფას თვალთაგან გაკეთებული გეგონებათ.

მცენარეთა ღეროზე და ტოტებზე დაცოცავენ დიდრონი ფერადი მწერები და ბზუილით ავსებენ ჰაერს.

წულისკენ მაიმუნები მოდიან; დასცხომიათ და გაგრილება უნდათ. მოდიან, მოიპარებიან, თან აქეთ-იქით იცქირებიან: ბალახში სადმე ვერაგი მტერი არ იყოს ჩასაფრებულიო. უცბად ნიშანი გაისმა, ბებერი ბელადი გაჩერდა, შეშინებული უკან გადახტა და თვალის დახამხამების უმალ უახლესი ხის რტოებში მიიმალა. საზარელი ყვირილით და შიშის გამოძეტქველი მიმოხრით ბელადს თან მიჰყვა მთელი გუნდი... ხშირი ბალახიდან თავი ამოჰყო და ავად სისინებს ბოროტი გველი. ფარიკით გაჭბერვია ყელი და ამ ფარზე რადაცა გამოჭსახვია, თითქო სათვალეებიაო. ეს არის სათვალიანი გველი, ანუ კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრა. რაკი ვერ დაინახა თავისი მეუდრეობის დამრდვევი მტერი, ისევ მოიბღუნა და მზეს მიუშვირა თავისი ეკითელი ზურგი.

წელის ჰირს ქვიშაზე ნიანგი განისვენებს; მოსწყენია წყალში ეოფნა და ახლა მზის სხივით ტკბება; ხან ზურგს შეუშვერს, ხან მუცელს, ხან თავს; ჩაეკითლებული თვალები მოუჭუტავს, ჰირი გაუღია და მართლა საშინელია მისი ორწყება ბასრი კბილები.

შუადღის მზე თავისი ცხოველმეოფელი სხივით ავსებს ქვეყანას, გრილი სიო ოდნავ არხევს ჭრელ ეკავილებს და მწვანე ფოთლებს, ტყეში ყველგან ცხოველთა მხიარული ჭრიამული გაისმის. დუღს და გადმოდის სიცოცხლე.

მაგრამ აგერ მზე დასავლეთისაკენ გადაიხარა და ალმაცერი მისი სხივები ოქროს მძივებად ეფინებიან დიდრონ, ლიანით შემოხვეულ ხეებს. ნიავი შეინძრა, შეარხია ხეების კენწერო და აკვავებულ მცენარეთა სუნნელება მოიტანა. უფრო და უფრო დაბლა მოჩანს მზე და მზესთან ერთად უფრო და უფრო დუნდება ტროპიკული ტყის ხმაურობით სავსე სიცოცხლე. შეიკეცა ჰეჰელამ თავისი ფერადი ფრთა და ეკავილში ჩაწვა დასაძინებლად. ფრინველმა თავისი ბუდე მონახა, ფრთის ქვეშ ამოიდო თავი და ტკბილ ძილს მიეცა. დაფაცურდენ ჭიები, ზოგი ფოთლებში მიიმალა, ზოგი ხის ქერქის ნაპრალში. არ ეძინება მხოლოდ ნიავს, რომელიც უფრო მედგრად უქრის ხის რტოებს, და ჰატარა ნაკადულს, რომლის ნაზი სიმღერა უფრო ტკბილად და მკაფიოდ გაისმის მიძინებულ ტყეში. მზე ჩავიდა, ჩაქრა დასავლეთი და თითქმის მაშინვე ღამის წყვდიადი ჩამოწვა ტყეში. უსაზღვრო კამარა ცისა გააბრწყინა დიდრონ ვარსკვლავთა ციალმა. ცაზე მთვარე კაშკაშებს და თავისი ვერცხლისფერი სხივით აშშვენებს ცამდე აშართულ მაღალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეებს და განზე გადაშლილ მათ ტოტებს. მიწედა, მიეუხდა სიცოცხლე დღისა და ახლა ღამის რიგია.

გამოფრინდა ღამურა და უგზოუკვლოდ ტრიალებს ხეებში. ჰაერში და ხეების მწვანე ფოთლებში რადაც ნაჭერწკალი აიშალა, ზოგი ლურჯი, ზოგი ალისფერი—ციცინათელა გამოვიდა თავისი ბუდიდან და თავისუფლად დანავარდობს, ხან ერთ ევავილს დაჭენოსავს, ხან მეორეს. ციცინათელას ღამის სხვა მწერებიც მოჰყვნენ. ამათ ჭრიჭინს უერთდება მელების ღმუილი და ძაღლების ყეფა. კვლავ ახმაურდა დაბურული ტყე.

წელის ბირს დიდი ხანია რადაც ხმაურობაა, ბღავილი და ფშვინვა: სპილოები ჩამოსულან წელის დასალევად და გასაგრილებლად. მთელი დღე ტყის ჩრდილში იყვნენ, მზის ბაბანაქებას და კოლოებს ემალებოდენ და ახლა კი, რაკი აგრილდა, გამოვიდენ თავისი საფარიდან, რომ ცოტა გაისეირნონ, ცივ წყალს დაეწაფონ, მწვანე ბალახი მოსძოვონ და ტკბილი ხილი მიირთვან. წყალში შევიდენ, მთლად აამღვრიეს ტლანქი ფეხებით და ახლა ხარბად სწოვენ თავისი გრძელი ხორთუმით. ჯოგის ბებერი, გამოცდილი წინამძღოლი უძრავად დგას, გაუშლია უზარმაზარი ყურები და ხმენად გადაქცეულა: სულ უბრალო შიში—და მაშინვე ნიშანს მისცემს: ისე დაიღრიალებს, საკვირის ხმა ეიგონებათ. ნორჩი სპილოები წყალში არიან, ზურგი-და უჩანთ. ხორთუმში წყალი ჩაიყენეს, ერთმანეთს ასხამენ და აგრილებენ. სხვები ხარბად დასწაფებიან ცივ წყალს და ფრუტუნით გამოსთქვამენ თავის სიამოვნებას; ზოგი კი უკვე გაგრილებულა, წყურვილი მოუკლავს და ახლა წელის ბირს დადის და კვირტსა ჭეიკნის, თანაც დაუნდობლად ამტვრევს ტოტებს. ტოტების მსხვრევის ხმა, წყალში მყოფი სპილოების ჭყაპუნი და იმათი ფრუტუნი საშინელ ხმაურობასა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰქმნის ტეეში და ძილს უფრთხობს ტოტებზე, ბუდეში მძინარ ფრინველთ. მაგრამ იმათ ეურადღებას ვინ აქცევს! ბატარა სხვილოები მხიარულად თამაშობენ წელის ჰირას, მათ თამაშს სიხარულით შესცქერიან დედები და თვალს არ აშორებენ.

სულ ახლო კი, დაბურულ ტეეში, ფეხაკრეფით დ'დის კატასავით ჩუმი ნაბიჯით მოარული საშინელი და სისხლით გაუმაძღარი ვეფხვი. მთელი დღე უძრავად იწვა ძლიერი მზეცი მიუვალ შამბში, რადგან, როგორც ეველა კატას (ვეფხვი ეკუთვნის კატის გვარს), ჭირივით ეჯავრება მზის სინათლე. მაგრამ ჩავა თუ არა მწვავე მზე, ვეფხვი წამოდგება, გაიზმორება, მოიშორებს თავის ძლიერ თათებს და სანადიროდ მიეშურება.

ჩუმად, ფრთხილად ეპარება ბალახზე გამოსულ ირემს. ხმელი ფოთოლიც კი არ დაიშრიალებს მის ფეხ ქვეშ; ეპარება და თან გრძელ, ზოლიან კუდს იცქმს გვერდებში. კიდევ კარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გი, თუ ირეშმა დროზე იგრძნო მტრის მოახლოვება: თავს უკან მოიგდებს, ჩიტივით გადაეკლება ბუჩქებს და სადმე ტყეში მიიმალება, მაგრამ თუ ვერ იგრძნო, მიეპარება ჭრელტყავიანი და ვაი ირმის ბრალი! იქ, საცა ასე მშვიდად სძოვდა ირემი, დილით ცარიელი გამოხრული მკლები-და ეყრება და იქვე იქნება მრავალი ეკაე-ეორანი და აფთარი.

მაგრამ აგერ ადმოსავლეთს ალისფერი შეეპარა, რიჟრაჟია. ღამის ცხოველი არც კი ელის გათენებას და უკვე იმალება თავის სოროში, ისე ერიდება მზის სიცხე-ბაბანაქებას. ღამურამ შეიკეცა ფრთები, უკანა ფეხით ხის რტოზე ჩამოეკიდა და მიიძინა. ციცინათელის ღამით ბრწყინვალე ელვარება კრთება დღის სინათლის წინაშე და თვითონ მწერიც იმალება ხის ქერქ ქვეშ, ან ფოთლების და ქვების ქვეშ. სპილოს ჯოგმა გული იჯერა; მხიარულად იქნევენ ხორთუმებს, თან აქეთ-იქით ტოტებს ამტვრევენ და ტლანქი ნაბიჯით მიიწევენ დაბურული ტყისაკენ, რომ სიცხემ ვერ ჩაატანოს და არ შეაწუხოს. სიცოცხლით და მხიარულებით სავსე წყლის ხირი მიჩუმდა. ნელი ნაბიჯით მიიზლაზნება თავისი ბუნაგისკენ ვეფხვი.

ადმოსავლეთს უფრო და უფრო ემატება ალისფერი და აგერ ჰორიზონტის იქიდან ამოდის გაკარკარებული, სიცხის მფრქვევი მზე, და კვლავ გაიღვიძა ტყემ, კვლავ გაცოცხლდა და ახმაურდა წუხელი ტკბილად მიძინებული ტყის ცხოველი. გუშინდელივით მხიარულად გაჭკივის თუთიეუში, გუშინდელივით უზრუნველად დაძრწის ტოტებში მაიმუნი, გუშინდელივით ეკავილებით თვრება ჭრელი ხეხელა. ოდინდ გუშინდელზე უფრო ლამაზია ნამით ნაბეკური ეკავილი და დილის ნიავით გაგრილებული ფოთოლი.

მ. მ—ანი.



დედაგერი და ყვავი.

ქმა, აქმა, შე ვერანო,
აქმა, სათოფეო,
არ გეეოფა, რომ წიწილა
გუშინ შეხეთქეო?

შეშვირდა დედაბერი
შავ-ნაცვარა ყვავსა,
როცა იგი ერთ წიწილას
მსწრაფლ დაეცა თავსა.

მაგრამ ბები ვერას გახდა,—
არ შეშინდა ყვავი;
რამდენჯერმე ნისკარტი ჰკრა,
გაუტეხა თავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიტაცა კაკლის ხისკენ
წივილ-წივილითა;
დედაბერი უკან გაჰყვა
მწარე კივილითა.

ეკანჩალა კი არხეინად
შეჯდა კაკალზედა
და წიწილის გემრიელ ხორცს
ჭელაბავს ზედიზედა.

დედაბერი კაკლის ხის ქვეშ
კვლავ აქშასა ჰყეირის,
და წიწილის სინანულით
ლაძის არის სტირის.

ეკაემა კიდეც გაათავა
თავის საუზმეო;
ფრთა-ფრთას ჰკრა და მიატოვა
ის კაკალის ხეო.

ასე ურცხვად დაიბრიყვა,
ეკაემა ჩვენი ბები,
თითო-თითოდ გაუზიდა
ეკელა წიწილები.

დ. ელიოზიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარ-მართველობის სალიტერატურო-სამხატვრო სექციის ხელმძღვანელობ-ბით გამოცემული წიგნების

ს ი ა

1. ნორჩი-ძალა—კრებული	12	კაპ.
2. „ბელა-ბეკეკა“	10	„
3. „დედაბერი, ტურა და მელია კუდი-გძელია	50	„
4. „ბავშებს“—ლექსები გ. ქუჩიშვილისა	20	„
5. „ტყის ზღაპარი“—მამინ-სიბირიაკისა	20	„
6. „ტყის სურათები“ შიო მღვიმელისა	25	„
7. „ჭიანჭველას საოცარი თავგადასავალი“	80	„
8. ქართული მოძრავი თამაშობანი“	80	„
9. „იგავ-არაკები“ ალ. მირიანაშვილისა	30	„
10. „ივანე სულელი“—ზღაპარი ლ. ტოლსტოისა	15	„
11. „მოძრავი თამაშობანი“ სიმღერებით—გოგლიჩიძისა	1	მან.
12. „ოვიდიუსის მეტამორფოზები“—ალ. მიქაბერიძისა	70	კაპ.
13. „ზამთარი“—ფერადი სურათებით	50	„
14. „უძველესი დროის ბავშის თავგადასავალი“	45	„
15. „როგორ იცავენ თავს ცხოველები-მტრისაგან	25	„
16. „გაზაფხული და ზაფხული“	90	„
17. „რას გვიამბობს ოთახი“	20	„
18. „ზღვის სიმდიდრე“	20	„
19. „პატარა იაპონელები“—ფერადი ყდით	75	„
20. „სიზმრად და ცხადად“	30	„
21. „კოკონთან„—ჩვენი უფროსი ძმები, ახალგაზრდა კომკავშირელები	10	„
22. „ლენინის საათი სკოლაში„	50	„
23. „ტაიგის საუნჯენი“	40	„
24. „კომბლე“ ფერად სურათებიანი წიგნი	65	„
25. პიონერი სოფლად	25	„
26. საბავშო ბალი—ფერადი სურათებით	1	მან.
27. ნორჩ პიონერთა თანამგზავრი	20	კაპ.
28. მომღერლები	15	„
29. წელთაღრიცხვის ძველი და ახალი წესი—ჯიშკარიანისა	35	„
30 თინიკოს გამოცანები—ფერადი სურათებით	45	„
31. საბავშო სახლის ცხოვრებათ	70	„
32. „იყავ მზად“	5	„
33. პატარა ჰოლანდიელები	80	„
34. წითელ კანიანები,—ხლებნიკოვისა თარგ.	55	„
35. ახალი ორთქლმავალის სიმღერა,—თარგ. ი. გრიშაშვილისა	25	„
36. ჩემი პატარა წიგნი, ფერადი სურათებით	50	„

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1926 წ.

გ ა ბ ო ვ ა

ეროვნულთვიური საუმაწვილო დასურათებული ჟურნალები:

მცირეწლოვ. **„ნაკადული“** მე-XXII წ.

მოზრდილ. **„წითელი სხივი“** წელ. მე-III.

ხელის მოწერა მიიღება წლით და ნახევარი წლით.

გადაგზავნით	„ნ ა კ ა დ უ ლ ი“ —	ერთი წლით	— 3 მ. 50 კ.
		ნახევარი წლით	— 2 მ.
	„წ ი თ ე ლ ი ს ხ ი ვ ი“ —	ერთი წლით	— 5 მ.
		ნახევარი წლით	— 3 მ.
ცალკე ნომერი	„ნ ა კ ა დ უ ლ ი“		35 კაპ.
	„წ ი თ ე ლ ი ს ხ ი ვ ი“		45 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი, განათლების სახალხო კომისარიატი, „ნაკადულისა“ და „წითელი სხივის“ რედაქცია.

რედაქტორი—**სარედაქციო კოლეგია.**

ტფილისი 2/VII—26. ს.ს.მ.უ.ს. პოლ-ტრ. 1-ლი სტამბა შეკ. № 8238/1340. მთავ. № 1054 ტირ. 3000